



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1117

„26 „01“ 2016წ.

ქ.თელავი

**სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გარე
მობილობის წესით გადმომსვლელ პირთათვის რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის
შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/წ ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“, თესაუს დებულების „ყველა საფეხურის სტუდენტთა სტატუსის მინიჭება, შეჩერება/შეწყვეტის, აღდგენისა და მობილობის წესით გადასვლის/გადმოსვლის/დაბრუნების შესახებ“ (განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი N 22; 31.07.2014წ. დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოზე ოქმი N 18; 31.07.2014წ.) და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შალვა ჭკადუას სამსახურებრივი ბარათის (14/01/2016წ. N24302) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. განისაზღვროს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გარე მობილობის წესით გადმომსვლელ პირთათვის რეგისტრაციის ვადები შემდეგი გრაფიკით:

- ა) გარე მობილობის პროცესში მონაწილე პირთათვის განცხადების წარდგენის ვადები განისაზღვროს 2016 წლის 5 თებერვლიდან 2016 წლის 12 თებერვლის 17⁰⁰ საათის ჩათვლით;
- ბ) ფაკულტეტების მიერ, გარე მობილობის დასკვნების უნივერსიტეტის კანცელარიაში წარდგენის ვადები განისაზღვროს 2016 წლის 9 თებერვლიდან 2016 წლის 16 თებერვლის 17⁰⁰ - საათის ჩათვლით;
- გ) დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სტუდენტთა გარე მობილობის შედეგები წარმოადგინოს 2016 წლის 17 თებერვლის ჩათვლით;

2. ბოლო ვაკანტურ ადგილზე კონკურენციის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ სტუდენტს, რომელსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეტი ქულა აქვს მიღებული.
3. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
4. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
5. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

უნივერსიტეტის რექტორი :



/ირმა შიოშვილი/